



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 17 სექტემბერი

**დისციპლინური საქმე №97/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

--- 2021 წლის 19 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე --- განჩინებაში ასახა ცრუ ინფორმაცია. კერძოდ, --- განმარტებით, მის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაში ასახულია ინფორმაცია, რომ თითქოს მსჯავრდებულის ოჯახის წევრებმა მსჯავრდებულის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება და ამხილეს იგი დანაშაულში.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ --- სასამართლოს 1998 წლის 20 აგვისტოს განაჩენით --- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის მე-4 ნაწილით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა ---.

2021 წლის 20 ივლისის, --- სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ ---, პალატის სხვა მოსამართლეებთან ერთად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა --- საჩივარი --- სასამართლოს 2021 წლის 10 მაისის განჩინებაზე, რომლითაც მსჯავრდებულს უარი ეთქვა სასჯელის შემდგომი მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე.

--- სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 20 ივლისის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ მიიჩნია, რომ --- მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს მსჯავრდებულის სასჯელის

მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს. -- სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, -- -- სასამართლოს 2021 წლის 10 მაისის განჩინება დარჩა უცვლელი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური

გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების კვლევას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება დაუშვებელია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2021 წლის 19 აგვისტოს N⁰-- საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი